F-567
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბიულეტენი

1 1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
მ ო ა მ ბ ე

F 2935

№ 1 (30)

19 თბილისი 65

ქ. თბილისის სახ. საჯ. საბჭოთა
ბიბლიოთეკა
* თ ბ ი ლ ი ს ი *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი—ერემია ქარელიშვილი

პმგ. მდივანი ლილი ლომთათიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი, ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

თეატრის საერთაშორისო დღე

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. ოთხი წელია, რაც ეს დღე შემოღებული იქნა და ამ მოკლე დროის მანძილზე იგი უკვე სახელოვან ტრადიციად იქცა, მისი იდეები წარმატებით ვრცელდება და მსოფლიოს მოწინავე კოლექტივების შემოქმედებითის ყოფაში მკვიდრდება. ამ დღეს მრავალი ქვეყნის თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები ზეიმით აღნიშნავენ, აჯამებენ განვლილ მიღწევებს და მომავლის ამოცანებს სახავენ, იბრძვიან რეპერტუარის განახლებისა და მისი პროგრესული მიმართულების განმტკიცებისათვის.

თეატრალური ხელოვნება, თუ იგი ნამდვილი და მაღალი ხელოვნებაა, თავისი ბუნებით ეროვნულად ინტერნაციონალურია, იმ გაგებით, რომ მისი მიღწევები არასდეს არ რჩება მხოლოდ თავისი ხალხის კუთვნილებად, არღვევს ნაციონალურ კარჩაკეტილობას და გზას იკაფავს სხვა ხალხების გულებისაკენ. ერთი ქვეყნის თეატრის, დრამატურგიის პროგრესული იდეები და ფორმები ვრცელდება და თავის გამანაყოფიერებელ გავლენას ახდენს მეორე ქვეყნების სასცენო ხელოვნებაზე. ასე ვრცელდებოდა თავის დროზე ანტიკური თეატრის მონაპოვარი, ასე იკაფავდნენ გზას შექსპირის, მოლიერისა და სხვათა თეატრების მიღწევები. თვით რუსული და ქართული თეატრალური კულტურა, თავიანთი ეროვნული თავისთავადობის მიუხედავად, დიდად არიან დავალებული მსოფლიო სასცენო კულტურის მიღწევებით.

რუსული თეატრი სარგებლობდა ევროპის მოწინავე თეატრალური ხელოვნების მონაპოვარით და თვითონაც ძლიერ გავლენას ახდენდა ევროპის შემოქმედებით კოლექტივებზე; მეოცე საუკუნის დასაწყისიდან რუსული სასცენო ხელოვნების რეალისტურმა პრინციპებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა და ეს პრინციპები მსოფლიოს მრავალმა რეჟისორმა და მსახიობმა საფუძვლად დაუდო თავის შემოქმედებას.

მაგრამ თეატრალური კოლექტივების და ცალკეული მოღვაწეების შემოქმედებითი ურთიერთობა არასდეს არა ყოფილა ისე ნაყოფიერი, როგორც არის ჩვენს ეპოქაში. სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო გზა გაუხსნა ხალხების შემოქმედებითს დაახლოებას.

საბჭოთა ეპოქაში დიდად განვითარდა სასცენო კულტურა, გამდიდრდა იგი ახალი იდეებით და მხატვრული ფორმებით, წარმოიშვა ერთი იდეით გამსჭვალული, მაგრამ სხვადასხვა ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისებურებების თეატრები. რევოლუციამ თეატრს მგზნებარე მოქალაქეობრივი სული შთაბერა, მთელი არსით ხალხის ცხოვრებასთან, საკაცობრიო იდეალებთან დაკავშირა და ცხოვრების ასახვის საშუალებიდან მისი გარდაქმნისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმახვილეს იარაღად აქცია. საბჭოთა თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი საზოგადოების შენებლობაში და მომავლის ადამიანების სულიერ ფორმირებაში, იგი ამსხვრევს ძველსა და ამკვიდრებს ახალს, პროგრესულს. მისი შემოქმედებითი თავისებურება დრომოჭმული მხილებისა და სიცოცხლისუნარიანის დამკვიდრების პათოსში მჟღავნდება. საბჭოთა თეატრის სწორედ ეს დიდი იდეურობა და სცენური წარმოსახვის მრავალფეროვნება იქცევს ყურადღებას და ახალ-ახალ მიმდევრებს იჩენს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არც ერთ თეატრალურ სკოლას არა ჰყავს იმდენი თაყვანისმცემელი და მიმდევარი, რამდენიც ჰყავს საბჭოთა სკოლას. საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი მიღწევები დიდიხანია საზღვარგარეთული ისტორიკოსებისა და თეატრმცოდნეების კვლევის ობიექტად გადაიქცა.

ისინი ამ მიღწევებს არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ იყენებენ კიდეც თავიანთი სასცენო კულტურის განვითარებისათვის. საბჭოთა სკოლას მრავალი მოწაფე გაუჩნდა. მისი აქტიური კულტურის მიღწევები შემოქმედებითი შთაგონების მძლავრ წყაროდ გადაიქცა, ბევრი რეჟისორი სიამაყით აღიარებს, რომ იგი შემოქმედებითად მიჰყვება სტანისლავსკისა და მეიერხოლდის, ვახტანგოვისა და მარჯანიშვილის, თაიროვისა და სხვათა მიერ გაკვალულ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრის საერთაშორისო დღე მოწოდებულია ხელი შეუწყოს მსოფლიოს პროგრესული სასცენო ხელოვნების წარმომადგენლების ერთმანეთთან დაახლოვებას. წინ წამოსწიოს დროის აქტუალური მოვლენები და ამაყად აღმართოს მათი განხორციელებისათვის ბრძოლის დროშა.

თეატრი კვალდაკვალ უნდა მისდევდეს ცხოვრების მჩქეფარე დინებას და სათუთად უსმენდეს ხალხის გულისცემას. ხელოვნება მხოლოდ ხალხის ცხოვრებასთან ცოცხალ ურთიერთობაში პოულობს მუდმივი განახლებისა და განვითარების სათავეს.

საბჭოთა თეატრის ძალა და ღირსება სწორედ ისაა, რომ თანმიმდევრულად იცავს ამ პრინციპებს, არ კმაყოფილდება მოპოვებული წარმატებებით, აქტიურად ეხმარება დროის მოთხოვნილებებს და მუდმივად ამაღლებს ოსტატობას. დაუკმაყოფილებლობის ის გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი ხელოვნება, განსაზღვრავს მის დაუბერებელ, მარად ახალ, მარად ნოვატორულ ხასიათს.

და დღეს, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობის გონება შეშფოთებულია იმპერიალისტთა აგრესული მოქმედებებით ვიეტნამში, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, ხალხთა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა სინდისიც დამშვიდებული არ შეიძლება იყოს. ადამიანი მისი ბედი მარად იყო, არის და იქნება ხელოვნების მთავარი ობიექტი. მაგრამ ადამიანი—ეს დიდებული სიტყვა ხელოვნების არცერთ დარგში ისე ამაყად არ ჟღერს, როგორც თეატრში, და როცა ბოროტი ძალები ცდილობენ ცაზე ღრუბლები წამოშალონ და დაემუქრონ ადამიანის მშვიდობიან ცხოვრებას, პირველი ხმა მათ წინააღმდეგ სწორედ თეატრმა უნდა აღიმაღლოს. ამიტომ არის მეოთხე საერთაშორისო დღის მთავარი დევიზი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა. ამ დღეს ყველა ქვეყნის მოწინავე თეატრების სცენიდან მიმოიბნევა კეთილი თესლი, რომელზეც აღმოცენდება და კიდევ უფრო მძაფრად გაიფურჩქნება ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის ნაყოფი.

თეატრები იბრძვიან იმისათვის, რომ დედამიწაზე უკეთესი ცხოვრება სუფევდეს. ამ ბრძოლაში საბჭოთა თეატრი ღირსეულად ასრულებს მოწინავის როლს.

ძალთა დათვალიერების დღეს მნიშვნელოვანი წარმატებით შეხვდა ქართული თეატრი. ჩვენ მუდამ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დაწინაურდა ჩვენ-მარიტად ნიჭიერი ახალგაზრდობა.

თეატრალური ხელოვნების რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ, აშკარად შეამჩნევთ გარკვეულ აღმავლობას, აზრის ტემპერამენტს და გამოსახვის ახალი ფორმების დაუცხრომელი ძიების პათოსს. უკანასკნელ დადგმებში არც თუ იშვიათად შეხვდებით გაბედულ და განუმეორებელ საღებავებს, რომლებიც აფარფატებენ თეატრის შემოქმედებითს დიაპაზონს. რეჟისორისა და აქტიორის ნამუშევრებში ნათლად შეინიშნება ფაქიზი ფსიქოლოგიური ანალიზის ორგანული შერწყმა აზრის შემაერთებელი გადმოცემის ოსტატობასთან. ფორმისა და შინაარსის ეს დიალექტიკური ერთიანობა განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება რეჟისურის კულტურის ზრდაში. მრავალი სპექტაკლიდან სანიმუშოდ შეგვიძლიან დავასახელოთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ დადგმული პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი". რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ გონებამახვილურად მიაგნო სცენიური წარმოსახვის იმ ფორმას, რომელიც კომედიის სკეპსის ერთგვარად გაანეიტრალებდა და წინ წამოსწევდა მის პატრიოტულ მოტივებს, ე. ი. დამდგმელმა კომედიაში მონახა რაციონალური მარცვალი და მოახერხა მისი განზოგადება, გაღვივება, სპექტაკლის ლეიტმოტივად გადაქცევა.

„კახაბერის ხმლის" დოგმატური გახსნის ცდები ყოველთვის მარცხით მთავრდება. აი, რეჟისორი შემოქმედებითად მიუდგა დრამატურგიულ მასალას და კომედიას ცხოველმყოფელი სცენური სიცოცხლე მიანიჭა.

ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი ავიღოთ რეჟისურის ზრდის ზოგადი მოსაზრების დასამტკიცებლად. რამდენი ასეთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ რუსთაველისა და გრიბოედოვის, ქუთაისისა და სოხუმის, ბათუმისა და გორის, თელავისა და ჭიათურის, ცხინვალისა და მახარაძის თეატრების დადგმებიდან.

უკანასკნელი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა სახალხო თეატრების მხატვრული დონე და გაიზარდ ^ მათი როლი მაყურებელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

თვითმოქმედმა დრამატულმა შემოქმედებამ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სასცენო ხელოვნების განვითარებაში. კლუბებთან და კულტურის სახლებთან არსებული დრამატული წრეები მნიშვნელოვან წარმატებებს აღ-

წევენ და მაყურებლის საერთო სიყვარულს იმსახურებენ. დღითი-დღე მაღლდება მათი შემოქმედებითი კულტურა, სცენისმოყვარეები ეუფლებიან გარდასახვის ოსტატობას და საინტერესო სახეებს ჰქმნიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქტიორული ძალების შემოქმედებითი წარმატებები. აქ ჩვენ ვხვდებით ძველისა და ახლის, ტრადიციულისა და ნოვატორულის ბედნიერ შერწყმას; არ შეიძლება არ გახარებდეთ, როცა ხედავთ, რომ ნიჭიერ უფროს თაობას ღირსეული ცვლა მოსდევს და დიდ ქართულ აქტიორულ ხელოვნებას დაქვეითება არ მოელის. ეს ცვლა იზრდება და წინაურდება როგორც ჩვენი დედაქალაქის წამყვანი თეატრების, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქების სახელმწიფო თეატრების სცენებზე.

როდესაც საბჭოთა თეატრის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ მაყურებელი, რომელიც, თავის მხრივ, დიდ გაგლენას ახდენს სასცენო კულტურის აღმავლობაზე. მაყურებლის გემოვნებისა და [illegible]ლების განუხრელი ზრდა თეატრს გამოსახვის საშუალებათა განახლებისა და წინსვლის მძლავრ სტიმულს აძლევს. ჩვენს დროში მაყურებელი თეატრის ერთ-ერთ აქტიურ, შემოქმედებით კომპონენტად იქცა.

მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, საბჭოთა ხელოვანს მუდამ უნდა ახსოვდეს თავისი წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობა ხალხის და სამშობლოს წინაშე,—არ დაკმაყოფილდეს მოპოვებული წარმატებებით, ნათლად და მღელვარედ ასახოს კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება, განუხრელად სრულჰყოს ოსტატობა და კიდევ უფრო გაამდიდროს დიდი საბჭოთა კულტურის საუნჯე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმი თბილისში

1965 წლის 11 იანვარს ქ. თბილისში ჩატარდა ამერიკაკავკასიის თეატრალური საზოგადოებების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

მოხსენება თემაზე „თანამედროვე თეატრალური კრიტიკა საქართველოში" გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა.

ამერიკაკავკასიის თეატრალური საზოგადოებების გაერთიანებული პლენუმი,—დაიწყო მომხსენებელმა,—დაემთხვა, საბჭოთა ხელოვნების ცხოვრებაში მომხდარ მეტად სერიოზულ ვითარებას. გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, წარმოადგენს ჩვენი პარტიის ახალ დოკუმენტს, რომელშიაც ახსნილი და ღრმად გაშუქებულია ჩვენი ხელოვნების და, კერძოდ, მხატვრული კრიტიკული აზროვნების ამოცანები. ეს ბედნიერი დამთხვევაა. ვიწყებთ რა პლენუმს, ჩვენთვის ნათელია თუ საით უნდა იქნეს მიმართული ჩვენი პრაქტიკული გეზი. ამ დოკუმენტში ლაპარაკია ხელოვნების მთავარ მიმართულებაზე, იმაზე თუ როგორ აესახოთ ხალხთა დიადი საქმენი, ჩვენი ცხოვრების დადებითი, ნათელი, მოწინავე ტენდენციები. აგრეთვე პარტია და ხალხი მოგვიწოდებენ დაუნდობლად გამხილოთ ნაკლოვანებანი, ხელისშემშელელი გარემოება, რომელიც ცხოვრების წინსვლას ეღობება.

„პრავდის" სარედაქციო წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თეატრალური კრიტიკის საკითხს, სადაც ნათქვამია, რომ შეცდომები რომელსაც უშვებენ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრები, არ უნდა იქნეს გაზვიადებული და გაბერილი. მთელი ჩვენი კრიტიკა უნდა განიმსჭვალოს შემოქმედებითი მუშაკებისადმი, ნიჭიერი ადამიანებისადმი პატივისცემის გრძნობით. უნდა ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ ნიჭიერ კადრებს, თანავუგრძნოთ მათ ზეიმს. აი ამაზე არის ლაპარაკი ამ სარედაქციო წერილში.

ილაპარაკა რა თეატრალურ კრიტიკაზე, ბეხარიონ ჟღენტმა სთქვა: უნდა ითქვას, რომ თეატრალური კრიტიკა მეტად საპასუხისმგებლო და რთული მეცნიერებაა ესთეტიკურ კრიტიკაში, იმიტომ რომ თეატრი სინთეტური ხელოვნებაა, რომელიც შეიცავს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა სახეობას,—დრამატურგიას, აქტიორულ და რეჟისორულ ხელოვნებას, სპეციფიკურ თეატრალურ ხელოვნებას, მუსიკას, სახვით ხელოვნებას, თანამედროვე თეატრში მონაწილეობს კინოც. ასე რომ თეატრალურ ხელოვნებაში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგები, ამიტომ, კრიტიკამ რომ შეაფასოს და პროფესიული ანალიზი გაუკეთოს თეატრალურ ნაწარმოებს იგი ერუდირებული უნდა იყვეს ხელოვნების ყველა დარგში. სწორედ ესაა სირთულე, სიძნელე თეატრალური კრიტიკისა.

თეატრალურ კრიტიკას აქვს კიდევ ერთი თავისებურება. როდესაც სწერ რეცენზიას რომელიმე რომანზე ან პოემაზე, შეგიძლიათ წაიკითხოთ 2-ჯერ, 3-ჯერ, 10-ჯერ, შეგიძლიათ იფიქროთ, იმსჯელოთ და ა. შ., ხოლო თეატრალური კრიტიკოსი ნახულობს სპექტაკლს ერთხელ ან რამდენჯერმე და აღქმის პროცესში გამოაქვს თავისი განაჩენი. ამგვარად, თეატრალური კრიტიკა ყველაზე რთული სახეა მხატვრულ-ესთეტიკური კრიტიკისა.

თეატრალური კრიტიკის წინაშე დიდი სიძნელენი დგას, მაგრამ ეს სიძნელენი უნდა გადავლახოთ, ჩვენ ასე მწვავედ არასდროს გეჭიროდეთოდა მკაცრი, სამართლიანი, პროფესიული თეატრალური კრიტიკა, როგორც დღეს, ვინაიდან ამის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარება.

რატომ დღეს არის ასეთი კრიტიკა განსაკუთრებით საჭირო? იმიტომ, რომ დღეს მკაფიოდ ისახება ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი, შეიმჩნევა დიდი შემობრუნება, ახლის ძიების დიდი ძალა თეატრალურ ხელოვნებაში. ეს არის ჩვენი დღევანდელობის, ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა, იგი სწორად უნდა აღვიქვათ და სამართლიანად შეეფასოთო.

საქართველოში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში, უთუოდ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, გაფართოდდა და გაიზარდა თეატრალურ კრიტიკოსთა კადრები: თეატრმცოდნეები, თეატრის თეორეტიკოსები და ისტორიკოსები. ამ 10 წლის მანძილზე მოვიდნენ ახალი კადრები, რომლებმაც აამაღლეს თეატრალური კრიტიკის დონე.

ჩვენ ბევრი სასიხარულო გაგვაჩნია, საქმეშარი და მხარდასაჭერი, მაგრამ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა და მიღწევებისა, თეატრალურ კრიტიკას ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გააჩნია. იგი მთლიანად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობას, რათა უფრო მეტად შესარულოს მოვალეობა ხალხისა და თეატრალური ხელოვნების წინაშე. თეატრალური კრიტიკა სჭირდებათ მარტო აქტიორებს კი არა, არამედ ხალხსაც. თეატრალური კრიტიკა ზრდის მაყურებელს, ანვითარებს ესთეტიკურ გემოვნებას და ხელს უწყობს ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

მოხსენების დასასრულს ბესარიონ ჟღენტმა სთქვა,—ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, თეატრის ისტორიკოსები მთელი ძალით უნდა ვეხმარებოდეთ კოლექტივს, ხხარში ეუდგეთ ქართულ საბჭოთა თეატრს. მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ დახმარება უნდა იყოს მომთხოვნი, ყოველთვის არ უნდა გადაუსვათ ხელი თავზე, ვაქოთ, ან ხოტბა შევასხათ, დახმარება უნდა იყვეს სამართლიანი, ობიექტური, მეგობრული და ამავე დროს, აქტიური და მომთხოვნი. კრიტიკოსები აქტიურად უნდა იბრძოდნენ ნაციონალური თეატრალური ხელოვნების აყვავებისა და შემდგომი წინსვლისათვის.

შემდეგ მოხსენება თემაზე—„თეატრალური კრიტიკის მდგომარეობა აზერბაიჯანში“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ადილ ალიევამ.

თეატრმცოდნეობას, როგორც მეცნიერებას, აზერბაიჯანში,—დაიწყო მომხსენებელმა,—საკმაოდ შორეული წარსული აქვს, მაგრამ განსაკუთრებით იგი უკანასკნელ 15 წლის მანძილზე განვითარდა. ეს პერიოდი აღინიშნება დიდი ძვრებით და წარმატებით. ჩვენი თეატრმცოდნეობის აღმავლობის ხარისხს ჩაითვლება კაპიტალური შრომები, მონოგრაფიები და გამორკვევები გამოცემული უკანასკნელ წლებში. მაგალითად, გამოვიდა ჯ. ჯაფაროვის ნაშრომი—„აზერბაიჯანის დრამატული თეატრი“, რომელშიაც განხილულია ძირითადი ეტაპები აზერბაიჯანის თეატრის განვითარებისა, და ბევრი სხვა მონოგრაფიული, მემუარული და კრიტიკული ნაშრომი, რომლებიც საყოველთაო აღიარებას და მოწონებას იმსახურებს. ეს გამოცემები საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში შეიქმნეს დიდი კაპიტალური ნაშრომი აზერბაიჯანის ნაციონალურ თეატრზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს,—განაგრძო მომხსენებელმა,—რომ თეატრმცოდნეობის განვითარების საქმეში სერიოზული როლი ითამაშა აზერბაიჯანის თეატრალურმა საზოგადოებამ, რომელსაც სათავეში უდგას ენერჯიული, მუდამ მოუსვენარი თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მუსტაფა მარდანოვი.

მოხსენებელი შეეხო აგრეთვე ნაკლოვანებებს, რესპუბლიკას გააჩნია მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც ეხმაურებიან თეატრის მუშაობას და ისწრაფვიან თავის დროზე ანალიზი გაუკეთონ სპექტაკლებს. ეს დიდებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად პრესაში ჩნდება არა პროფესიული, ზერელე, სახელდახელოდ დაწერილი რეცენზიები. ამ შემთხვევაში იჩაგრება თეატრის კოლექტივი, რომელმაც დიდი შრომა გასწია სპექტაკლის შესაქმნელად, მაგრამ ვერ მიიღო ამ შრომის შესაფერი, გულწრფელი, საქმიანი შეფასება. ამიტომ არის, რომ რეცენზიებს თეატრები ხშირად გულგრილად ხვდებიან. დროა ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა აზერბაიჯანის თეატრალური კრიტიკის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე და დასასრულს სთქვა,—ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თეატრმცოდნეთა წარმატებები დადიდრებული მომმე რესპუბლიკების—სომხეთისა და საქართველოს გამოცდილებებით და წარმატებებით, დადებით ნაყოფს გამოიღებს და ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს თეატრალური ხელოვნების ახალ-ახალ შემოქმედებითის გამარჯვებებს.

მოხსენება თემაზე, „მიმდინარე თეატრა-

ლური კრიტიკა სასომხეთში", გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა საბირ რიზაევმა. სომხეთის თეატრალური კრიტიკოსები, დაიწყო მომხსენებელმა, წარმოადგენენ ერთ-ერთ ძლიერ პროფესიონალურ ძალას საბჭოთა თეატრალურ კრიტიკოსთა შორის. სომხეთის თეატრალური კრიტიკა იზრდებოდა და ყალიბდებოდა იმ ბრძოლებში, რომელიც გადაიტანა საბჭოთა თეატრმა თავის განვითარების გზაზე. იგი შეუპოვრად იბრძვის ახალი თეატრის ახალი პრინციპებისათვის, რომელმაც ვაქაკაცურად შეინარჩუნა სულის სიმტკიცე მძიმე პერიოდშიც კი, მას არასდროს უღალატია თავისი მთავარი მიზნისათვის, —ემსახურა პატიოსნად სომხეთის თეატრისათვის.

განსაკუთრებით, უკანასკნელ 10 წლის მანძილზე საოცრად გაიზარდა თეატრმცოდნეობა, როგორც მეცნიერება. 1921 წლიდან 1956 წლამდე გამოცემულ იქნა მხოლოდ ათიოდე თეატრალური ნაშრომი, მაშინ როდესაც ბოლო პერიოდში საზოგადოებრიობამ იხილა 50-ზე მეტი ნაშრომი. ამ ციფრის იქით იმალება ნაყოფიერი პროცესი აზრის ალმავლობისა, სომხეთის თეატრალური კრიტიკის პრაქტიკული დავაჟკაცებისა. გაიზარდა თეატრალური კრიტიკის ჰორიზონტი, ამაღლდა და გაფართოვდა მისი თეორიული დონე და პრობლემატიკა. რუბენ ზარიანის, სარქის მელიკსეტიანის, გარნიკ სტეპანიანის, სურენ არუტუნიანის, ლევან ხალვდიანის, ლუიზა სამველიანის, ლევონ ხალატიანის, არცვი უნანიანის, ბაბკენ არუტუნიანის და სხვათა გამოკვლევებმა, გოიანის ორტომიან კაპიტალურ ნაშრომებთან ერთად, დაადგირგვინეს გარკვეული ეტაპის ასახვა სომეხი ხალხის თეატრის ისტორიისა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა აქტიორული ხელოვნების, რეჟისურისა და დრამატურგიის განვითარების პრობლემებზე, დღეისათვის მეტად აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებზე და აღნიშნა, რომ თეატრალური ხელოვნების შემოქმედებითი დონის ზრდას მნიშვნელოვნად ხელს უშლის კრიტიკის სარბიელის სივიწროვე. საკაკვშირო ბეჭდვითი სიტყვის არენა თითქმის მიუწვდომელია რესპუბლიკათა კრიტიკოსებისათვის. ჟურნალ „თეატრის" ფურცლებზე ძალიან იშვიათად იბეჭდება არა მარტო ვრცელი, რესპუბლიკათა თეატრების მიღწევების თეორიულად განმაზოგადებელი ხასიათის სტატიები, არამედ მცირე ზომის რეცენზიები და ინფორმაციებიც. საკავშირო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს კავშირი არა აქვთ დამყარებული რესპუბლიკათა შემოქმედებით კადრებთან. არ უკვეთავენ მათ საჭირო სტატიებს.

მოხსენების დასასრულს ს. რიზაევმა სთქვა: სომხეთის თეატრალურმა კრიტიკამ არა ერთხელ დაამტკიცა მგზნებარე, მოქალაქეობრივი დაინტერესება მშრომელიური თეატრის ბედით, იგი იღწვოდა და შრომობდა თეატრის შემოქმედებით მოღვაწეებთან ერთად; ამ შემოქმედებითი ერთიანობის წყალობით რესპუბლიკის თეატრალურმა ცხოვრებამ შეინარჩუნა ჯანმრთელი რიტმი და დიდ შემოქმედებით გზაზე გავიდა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ალიბეკოვი, რომელმაც ილაპარაკა თანამედროვე თეატრალური კრიტიკის ნაკლოვანებებზე, და სთქვა,—მე ვფიქრობ, რომ აქ გამოთქმული ბევრი საინტერესო და ჭკვიანი მოსაზრებანი, უდაოდ ხელს შეუწყობს თანამედროვე თეატრალური კრიტიკის განვითარების საქმეს. რაც უფრო მეტ ყურადღებას და ნდობას გამოვიჩენთ ჩვენი კრიტიკოსების მიმართ, მით უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს მათი შემოქმედება.

სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, რომელმაც ილაპარაკა სასცენო მეტყველების საკითხებზე და სთქვა,—სასცენო მეტყველება წარმოადგენს აქტიორული ხელოვნების არა ერთ-ერთ კომპონენტს, არამედ მთავარ კომპონენტს. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ის კი არ არის მნიშვნელოვანი რას ლაპარაკობენ, არამედ, როგორ ლაპარაკობენ: როგორ აწვდიან თავის სიტყვებს მაყურებელს. თეატრებში ყოველთვის სათანადო ყურადღება არ ექცევა შემოქმედების ამ უმნიშვნელოვანეს მხარეს.

საჭიროა ვიბრძოლოთ სწორი ლიტერატურული წარმოთქმისათვის, გამართული სასცენო მეტყველებისათვის. სწორედ ამ მიზნით მოღვაწეობს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო.

თეატრალური ოსტატობის შესწავლა უდევს საფუძვლად თეატრალურ ხელოვნებას, დღეს თეატრის რთული ცხოვრება ჩვენს წინაშე რთულსა და დიდ საპასუხისმგებლო მოთხოვნილებებს აყენებს—თქვა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ.

პლენუმზე კამათში გამოვიდნენ: დრამატურგი ა. არაკსმანიანი, მ. პიასეკი, ხელოვნე-

ბათმცოდნეობის დოქტორი ჯაფარ ჯაფაროვი, სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ეთერ გუგუშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიგა ლორთქიფანიძე, გ. საფაროვი.

მათ ილაპარაკეს კრიტიკის უმნიშვნელოვანეს როლზე თეატრალური კულტურის განვითარებისა და მაყურებლის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში. თეატრალურმა კრიტიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით მაინც ჩამორჩება მის წინაშე წამოჭრილ გაზრდილ მოთხოვნილებებს. კრიტიკამ დღემდე მთლიანად ვერ მოაქცია თავისი ყურადღების სფეროში სახელმწიფო და სახალხო თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითი მუშაობა. მრავალი სპექტაკლი, მით უმეტეს მრავალი სცენური სახე, რომელსაც მსახიობი მთელ თავის ნიჭსა და უნარს ახმარს, შეუფასებელი რჩება. ამასთან ერთად, სპექტაკლზე დაწერილი რეცენზიები ყოველთვის როდი იქცევენ ყურადღებას საქმის ცოდნითა და პრინციპულობით. ნაბოლოდ ისინი ზედმეტად სქემატური და დამაჯერებლობას მოკლებულია. რეცენზიას დამაჯერებლობას მხოლოდ ობიექტურობა როდი აძლევს, ის, იმავე დროს, პროფესიულიც უნდა იყოს, სპექტაკლს, რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის, კომპოზიტორის ნამუშევარს ყოველმხრივად და გასაგებად უნდა განიხილავდეს, უნდა ამჩნევდეს და ახალისებდეს ახალ ტენდენციებს, გაბედულად ებრძოდეს ნაკლოვანებებს და განვითარების კონკრეტულ პერსპექტივებს სახავდეს, უსმენდეს მაყურებელს და მის მოთხოვნილებებს ესარჩლებოდეს.

პლენუმი შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დოდო ანთაძემ.

ერთი დღე თბილისის თეატრებში

გასული წლის დასასრულს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობისა და რეჟისორის სექციამ, კრიტიკის სექციასთან ერთად მოაწყო გამსვლელი რეიდი თბილისის სახელმწიფო თეატრებში. რეიდის მიზანი იყო შეემოწმებია რიგითი წარმოდგენების კულტურა და ხარისხი, შეემოწმებია თუ რამდენად შეინარჩუნეს სპექტაკლებმა „ახალგაზრდობა და სიჯანსაღე".

27 დეკემბერს, თეატრალურ საზოგადოებაში მოეწყო ჩატარებული ღონისძიების შეჯამება. სხდომას თავმჯდომარეობდა მსახიობისა და რეჟისორის სექციის ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი სერგო ჭელიძე. იგი შეეხო რეიდის მნიშვნელობას და თქვა: ჩვენს თეატრებში პრემიერა, ასე თუ ისე სათანადო სიმაღლეზე დგას, მაგრამ დროთა მსვლელობაში, იმის მაგივრად, რომ სპექტაკლი უფრო დაიხვეწოს და უფრო ამაღლდეს მასში სამსახიობო ოსტატობის დონე, ხდება პირიქით, იგი ქვეითდება და შემდეგ გაცილებით უფრო ცუდად გამოიყურება ვიდრე დასაწყისში იყო. ყოველი რიგითი წარმოდგენა, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით; განაგრძობს სერგო ჭელიძე, —პრემიერა უნდა იყოს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად ვიმსჯელოთ მთლიანად თეატრის აკაკრგანიზაზე.

შესავალი სიტყვის შემდეგ განხილული იყო სპექტაკლები.

გრიბოედოვის სახელობის თეატრში 25 დეკემბერს მიდიოდა სპექტაკლი „მელია და ყურძენი", რომელიც ნახეს თეატრმცოდნეებმა ე. გუგუშვილმა და ნ. შვანგირაძემ. ნ. შვანგირაძემ აღნიშნული სარეიდო სპექტაკლის შესახებ აღნიშნა: „იმ მიზნით, რომ რეიდის მონაწილეების სპექტაკლზე დასწრების გამო, მსახიობების თამაშს არ დასტყობოდა რაიმე დაჭიმულობა, ან განსაკუთრებული ხასიათის თამაში, ჩვენ, ჩვენი მისვლის განსაკუთრებული მიზანი თეატრში არ განგვიცხადებია. ე. ი. სპექტაკლის მონაწილეებმა არ იცოდნენ მათ მუშაობაზე სპეციალური მეთვალყურეობის შესახებ.

იმ საღამოს ჩვენ შევნიშნეთ ამ თეატრის მთელი კოლექტივის გულისყური და პასუხისმგებლობის გრძნობა რიგითი სპექტაკლის მიმართ.

რაც შეეხება აქტიორების მუშაობას, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ საღამოს ზოგი მათგანის თამაში დაქვეითებულად გვეჩვენა. მე პირადად ამ სპექტაკლში ძალიან მომწონდა ეზოპეს როლის გამსახიერებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ი. შეგზოკა, რომელმაც მაყურებლის ინტერესი გამოიწვია, მაგრამ სარეიდო წარმოდგენაში იგი არც თუ კარგად გამოიყურებოდა. მეტ-ყველებდა რაღაც განსაკუთრებული მანერით, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მსახიობი ავად იყო და ყელი სტკივოდა.

სამაგიეროდ, ჩვენ შევნიშნეთ, რომ მსახიობ თ. ბელოლოსოვას სახე უფრო გაუღრმავებია, გაუზრდია. იგი ამ სპექტაკლში უკეთ გამოჩნდა, ვიდრე წინა წარმოდგენებში.

ძირითადში კი იმ საღამომდელმა წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თეატრის სადადგმო ნაწილის მუშაობის შესახებაც შენიშვნა არ გვაქვს".

ოპერის თეატრის სარეიდო სპექტაკლის შესახებ სიტყვით გამოვიდა მუსიკისმცოდნე ა. წულუკიძე, რომელმაც თქვა: „ოპერის თეატრის სცენურ პროფილს ყოველთვის ქართული ოპერები ჰქმნიდნენ და მათი დონის განხილვით შეიძლებოდა გვემსჯელა თეატრის მდგომარეობაზე, მის მთელ შემადგენლობაზე —დირექტორზე, მხატვარზე. დირიჟორზე, მხატვრულ კულტურაზე, ვოკალისტებზე და სხვა. იმ საღამოს, მართალია მე არ მინახავს ქართული ოპერა, მაგრამ ვნახე „კარმენი", რომელიც დიდადაა დაკავშირებული ჩვენი ოპერის თეატრის ისტორიასთან. იგი ისეთი ოპერათაგანია, რომელიც არასოდეს არ სცილდება თეატრს. მას უყურებენ ისე, როგორც ქართულ ოპერას, რომელიც განსაკუთრებით შეისისლხორცა ჩვენმა თეატრმა და ამიტომ მის სპექტაკლურ დონეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

თბილისის ოპერის თეატრში „კარმენი" 15 წლის წინათ დაიდგა. სამწუხაროდ, დღეს იგი გაუარიბებულად გამოიყურება. შელახულია, დაძველებულია და სპექტაკლიდან სპექტაკლამდე კიდევ უფრო უარესდება. მოძველებულია მისი ინტერპრეტაციაც, მაშინ, როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ეს ისეთი ოპერაა, რომელიც ვერ იტანს შტამპსა და სტანდარტს. „კარმენი“ ყოველთვის ახალი გზის გაკაფვას უნდა მოასწავებდეს. დღეს იგი უნდა იყოს ეტალონი ახალი, ნოვატორული ოპერის.

ასეთი მოძველებული დადგმების გამო მაყურებელმა დაკარგა საოპერო სპექტაკლებისადმი ინტერესი.

თუ კი რეჟისორს შეუძლია ახალი რამ შეიტანოს, ახლებურად გადაწყვიტოს კლასიკური ოპერების დადგმა, სწორედ ერთ-ერთი მადლიანი მასალა ბიზეს „კარმენია“ და ამიტომ პირველ რიგში ამ ოპერას უნდა შეეხოს ასეთი განახლება.

სამწუხაროდ, ხსენებული დადგმა მოძველებული და დაშტამპული. ეს შენიშვნა ეხება არა მარტო დამდგმელ რეჟისორს, არამედ მხატვარს და სხვებსაც, ვინც კი სპექტაკლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „ჭინჭრაქას“ შესახებ ილაპარაკეს კრიტიკოსებმა გ. ციციშვილმა და რეჟისორმა მ. გიჟიმყრელმა.

გ. ციციშვილმა მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლის მხატვრულ მხარეს. ამავე დროს მომხსენებელმა შენიშნა, რომ სპექტაკლი დაწყებულა 15 წუთით გვიან. საყვედური გამოთქვა დირექციის მიმართ, რომელმაც საღამოს წარმოდგენაზე დაუშვა მცირე ასაკის მაყურებელი, რაც არ იძლეოდა საშუალებას დარბაზში შექმნილიყო ნორმალური პირობა სპექტაკლის მოსასმენად.

მიხ. გიჟიმყრელის აზრით 25 დეკემბრის წარმოდგენას არ ემჩნეოდა დაქვეითება,— „მთელ კოლექტივში იგრძნობოდა ის ჯანსაღი სიხალისე, რომელიც გადადიოდა დარბაზში. ეს კი იწვევდა იმავე რეაქციას, რასაც პირველი სპექტაკლი. ასევე შეიძლება ითქვას მის სადადგმო მხარეზედაც“, — შენიშნა მ. გიჟიმყრელმა.

თეატრმცოდნე ც. ყიფიანმა დაახასიათა სპექტაკლი „თამაში ჭვავის ყანაში“, რომელიც 25 დეკემბრს მიდიოდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მან თქვა: „მთავარი მომქმედი გმირები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავის საქმეს. ამასვე ვერ ვიტყვი მასობრივი სცენების შემსრულებლებზე. იგრძნობოდა მოდუნება, არ იყო ის სიხალისე, რაც ამ შემთხვევაში მოცემულ სცენისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სპექტაკლი ჩავაბარეთ და ახლა როგორც არ უნდა ვითამაშოთ, ამას მნიშვნელობა არა აქვსო. რიგით სპექტაკლში კი ეს არ უნდა იგრძნობოდეს“.

ს. შაუმიანის სახელობის სომხურ თეატრში იმ საღამოს მაყურებელმა ნახა შერეული ,,პატიოსნებისათვის“, რომლის შესახებ ... პარაკა კრიტიკოსმა ს. აკბინამა. მომხსენებელმა თქვა: რეჟისორ ფ. ბჟიკიანმა შესანიშნავად დაინახა პიესა. პიესის წარმატებას ხელი შეუწყო თეატრის მთავარი მხატვრის რ. ნალბანდიანის მოფიქრებულმა გაფორმებამ. იმ საღამომდელ სპექტაკლში მე შევნიშნე აქტიორულ ნამუშევართა ამაღლება. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი არ იყო მაყურებლით სავსე, სპექტაკლი მაინც თავის სიმაღლეზე იდგა.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა მიხეილ კვაღლიაშვილმა აზრი გამოთქვა ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლის გ. ქელბაქიანის „დედინაცვლის“ შესახებ: „სპექტაკლი დაიწყო 10 წუთით დაგვიანებით, რაც საბავშვო თეატრში, და საერთოდაც, დაუშვებელია. სპექტაკლი რეჟისორული თვალსაზრისით კარგად არის შესრულებული. არის წვრილმანი ხარვეზები, რაც არ უნდა იყოს დაშვებული. მოუთმენელია ამ წარმოდგენის სცენური სიდატკეკ.

უფრო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოვეკიდოთ მოზარდმაყურებლებისათვის შესაქმნელ სპექტაკლებს, — შენიშნავს მომხსენებელი, — უნდა დადავხედოთ, თუ როგორ სპექტაკლებს ვაჩვენებთ ბავშვებს. ახალგაზრდა უყურებს, რომ ინტელიგენტები მიდიან მარჩილებთან, რომ ახალგაზრდა ქალი გათხოვდა და გადაწყვიტა ქმარი მოწამლოს. დარბაზში ბავშვების დადებითი რეაქციაა, ისინი ტაშს უკრავენ, რაც არ არის სასურველი, ასეთმა ამბავმა აღშფოთება უნდა გამოიწვიოს“.

თეატრმცოდნე ვახტანგ ქართველიშვილმა უარყოფითი აზრი გამოთქვა სანკულტურის თეატრის სპექტაკლ „ცირუს“ გამო.

ჩატარებულ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა დ. ჯანელიძემ, კ. კუკულაძემ, ვახ. ტაბლიაშვილმა, არ. ჩიმაკაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, თეატრმცოდნეებმა მ. ცხოვარიამ და ლ. ხუციშვილმა, დამსახურებულმა მსახიობმა თ. თარხნიშვილმა და სხვ.

მხატვარ კ. კუკულაძემ თქვა: რიგითი სპექტაკლების დათვალიერება აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რადგან თეატრების მუშაობა გამოდის სამჯავროზე. ამიტომ სწო-

რია თეატრალური საზოგადოების მიერ აღებული ასეთი კურსი. ისიც სწორია, რომ ასეთ შეკრებაზე ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ არის შენახული სპექტაკლი და მისი ღირსება, როგორ უნდა მოიქცეს თეატრი, რომ პრემიერის შემდეგ სპექტაკლმა არ დაკარგოს თავისი მხატვრული სახე. თუ მომავალშიც ჩატარდება ასეთი ღონისძიება, ის თეატრის მუშაკებს შემოქმედებით მუშაობაში დიდ სტიმულს მისცემს და დაინტერესებას გამოიწვევს. ასეთი შეხვედრები ჩვენს მუშაობაში სისტემად უნდა გადაიქცეს და მაშინ მას უფრო დიდი შედეგის მოცემა შეეძლება.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რეჟისორ გ. ლორთქიფანიძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებაც, მისი აზრით, უზრუნველჰყოფს რიგითი სპექტაკლების მაღალი დონის შენარჩუნებას. ერთ-ერთ ასეთად მას მიაჩნია რეჟისორთა მორიგეობის შემოღება თეატრში. შეჩერდა რა მსახიობის მუშაობაზე რიგით სპექტაკლში, შენიშნა: მსახიობი არ შეიძლება ყოველდღე ერთსა და იგივეს აკეთებდეს, იმეორებდეს ერთსა და იგივე მიზანსცენებს. ის ყოველდღე შემოქმედებით მუშაობას უნდა ეწეოდეს, ყოველდღე რაღაცას ახალს ქმნიდეს, ახალი შეჰქონდეს თავის შემოქმედებაში, წინაადმდეგ შემთხვევაში ეს სპექტაკლის სიცოცხლეა და არა განვითარება. [illegible] შეიძლება ერთ ადგილზე გაჩერდეს. [illegible] გილს ტკეპნდეს.

მსახიობი ყოველთვის თავს ისე უნდა გრძნობდეს, რომ ის დღეს პრემიერაზეა და პირველად ასრულებს ამა თუ იმ როლს.

ჩვენ, როდესაც ვესწრებოდით „მხატის“ სპექტაკლებს,—განაგრძობს გ. ლორთქიფანიძე,—არასოდეს არ ვგრძნობდით, რომ იმ დღეს პრემიერა არ იყო. ან როგორ შეიძლებოდა იმისი წარმოდგენა, რომ ჩეხოვის „სამი და“ იმ დღეს პრემიერა არ იყო? იგივე ითქმის შექსპირის თეატრზე, რომელიც ერთი და იგივე სპექტაკლებს წლების მანძილზე დგამს, მაგრამ შემოქმედებითი კოლექტივი ამას ისე ახორციელებს, როგორც პირველი დადგმის დროს. თუ თეატრი კარგად მუშაობს, მაშინ წარმოუდგენელია, რომ დროთა განმავლობაში სპექტაკლი კვდებოდეს. რამდენადაც დიდია შემოქმედებითი კოლექტივის პასუხისმგებლობის გრძნობა, იმდენად დიდია მისი წარმატებები. ამიტომ დღეგანდელ ჩვენს შეკრებას თავისი კარგი აზრი და მნიშვნელობა აქვს“-განაცხადა დასასრულს გ. ლორთქიფანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე სეზონში

„მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი მიმდინარე სეზონში"—ასეთი იყო იმ მოხსენების სათაური, რომელიც 15 თებერვალს წაიკითხა თეატრმცოდნე ა. ტრაპაიძემ ხელოვნების მუშაკთა სახლში, თეატრალური საზოგადოების მიერ სპეციალურად ნორჩთა თეატრის რეპერტუარის გარშემო გამართულ დისკუსიაზე.

მომხსენებელი შეეხო მოზარდმაყურებელთა თეატრის უდიდეს როლს ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკურად აღზრდის, მომავალი ადამიანის ფორმირების რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში და ილაპარაკა იმაზე თუ რამდენად უპასუხებენ ამ მოთხოვნილებას ქართული მოზარდმაყურებელთა სპექტაკლები „მეთორმეტე ღამე" (შექსპირი), „გალილეო გალილეი" (პერსონოვი და დობჟინსკი), ,,დედინაცვალი" (გ. ქელბაქიანი) „კონა" (ე. გაბაშვილის მიხედვით) და „სათაგური" (ვაჟა-ფშაველას მიხედვით).

ა. ტრაპაიძე დაწვრილებით იხილავს თეატრის რეპერტუარს,—რეჟისორების, მსახიობების, კომპოზიტორების, მხატვრების ნამუშევრებს, ეხება თეატრის გეზის სისწორეს, მის ხვალინდელ ამოცანებს.

„მეთორმეტე ღამე" თეატრმა უძღვნა უილიამ შექსპირის დაბადების 400 წლისთავს,—ამბობს მომხსენებელი.—უკვდავი დრამატურგის ეს პიესა ყურადღებას იპყრობს მარტივ სიტუაციებში გმირების ხასიათების გონებამახვილური გამოკვეთით, მასში ოსტატურად შერწყმულია კომედიური და დრამატული კონფლიქტები, წარმოდგენილია მოქმედ გმირთა მრავალსახეობა, მწარე სარკაზმით დახატულია დრომოქმულის და ახლის ურთიერთ დაპირისპირება, სრულყოფილად ამეტყველებულია ადამიანთა მიზანსწრაფვანი, დაუდგრომლობა სიყვარულისა და ა. შ. თეატრს მხოლოდ შეიძლება მიესალმოთ „მეთორმეტე ღამის" რეპერტუარში შეტანის გამო.

შემდეგ მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გ. ქელბაქიანის პიესა ,,დედინაცვალზე''. ა. ტრაპაიძის აზრით პიესა სუსტია, მოქმედი პირები ხშირად უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მოქმედება ყოველთვის დამაჯერებელი არ არის.

ინსცენირების უკეთესი ოსტატი ესაჭიროებოდა ეკ. გაბაშვილის მოთხრობის მიხედვით დაწერილ ,,კონას''. შეცდომაა დაშვებული ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდის არჩევის სახის ფსიქოლოგიურ გაშლაში და ,,კონას'' მოქმედი პირების უმრავლესობაც, ერთფეროვნად არის წარმოდგენილი.

რითი იმსახურებს ყურადღებას სპექტაკლი ,,სათაგური''? — უპირველესად ნ. ჩხეიძის ბრწყინვალე ინსცენირებით, რომელშიაც დიდი ვაჟას შემოქმედების მხატვრული სურნელება, ყველა დეტალში შერჩენილია. აქ საქმე გამომგონებლობის სიუხვესა და ორიგინალობაში, სცენიურობის ოსტატურ გრძნობაში კი არ არის, არამედ ვაჟასეული ყიცოცხლისუნარიანობის გულწრფელობის შენარჩუნებაში.

შემდეგ ა. ტრაპაიძე დაწვრილებით მიმოიხილავს მსახიობთა თამაშს. მაღალ შეფასებას აძლევს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლ. ძიგრაშვილის მარიას, ოლიკიას, ეფსახარ კრაწაულს, იამზე ტყავაძის ოლივიას, ლივიას, კონას, რ. თავართქილაძის მალვოლიოს, გალილეო-გალილეის, ბ. ჯაფარიძის ვიოლას, ო. ბაღათურიას სებასტიანოს, ტორიჩელს, არჩილს, ვ. არეშიძის ანტონიოს, ეპისკოპოს მარკიზედჩს, გ. რევაზიშვილის სერ ტობს, თავდიდიშვილს, ო. ტიკაძის სერ ენდრუ იგიუჩკს, დ. ძნელაძის ქრისტინას, ა. ფხალაძის მასხარას, პანტელს, ლ. ფერაძის აგრაფინას, უტანდარს, ნინუას ესტატეს, თ. ფარცხალაძის ზალიკა დიაკვანს, ა. ფხალაძის სპირიდონს, დ. ხელორდავას სოსიას, გ. დეისაძის გიგოს, ჯ. ჯანდიერის ფიცხელას. ივანიძის კუდა რაინდს, შ. ლორთქიფანიძის ძრომიას, მომხსენებელი სახეთა სცენიური განხორციელების არასრულყოფილებაზე მიუთი-

თებს მსახიობებს, ნ. ცერცვაძეს ილორიის ჰერცოგში, ფილიპეში, შიოლა ხატისაკაცში, ო. ბაღათურიას ვაჟაში, ც. ჟორჟოლაძის დავარ დედინაცვალში, მ. ჯაჯანიშვილს გულთმისანში, ვ. ჩიტაშვილს პაატა ბარნაბაულში, რ. მიქაბერიძეს წამყვანში („დედინაცვალი"), მოურავში.

შემდგომ ტრაპაიძე დაწვრილებით ეხება მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეჟისურას.

—„მეთორმეტე ღამეს" მიზანსცენებს, გმირთა ფიზიკური და სულიერი მოძრაობის ლაბიერ სანახაობას, სურათებისა და მოქმედებების რიტმს, სპექტაკლის დასაწყისს და ფინალს ოსტატი რეჟისორის ხელი ეტყობა. ეს დადგმა რეჟისორ სერგო ჭელიძის დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. „მეთორმეტე ღამე" სიცოცხლით სავსე სპექტაკლია, რომელსაც თეატრის რეპერტუარში ხვალინდელი დღე უწერია.

ახალგაზრდა რეჟისორ შ. გაწერელიას „გალილეო-გალილეი" ღრმად გააზრებული სპექტაკლია. რეჟისორი კარგად გრძნობს მასალის ხასიათსა და თავისებურებას. განსაკუთრებით კარგად ხედავს მოქმედებათა ფინალებს,—ამას შეიძლება თავისუფლად უწოდოთ ზუსტი რეჟისორული წერტილები. რეჟისორი საკმაოდ იოლად ახერხებს სცენაზე განწყობის შექმნით დარბაზის შესაფერი ემოციების გამოწვევას. სპექტაკლში მაინც არის, ჩვენი აზრით, ერთი საკმაოდ მოზრდილი შეცდომა. რეჟისორი ისეა გატაცებული გალილეოს პირადი და ოჯახური ინტრიგის დრამატულობით (რაშიაც გარკვეულად პიესაც უწყობს ხელს), ისეა ვირგინიას შინაგანი სამყაროს ძალუმობით დაკავებული (აქ მსახიობი ლ. ძიგრაშვილი დაეხმარა), რომ ძალაუნებურად სპექტაკლის ცენტრად ეკლესია გალილეოს ქალიშვილი იქცა. მიუმატეთ ამას რ. თავართქილაძის არაგალილეობა და შეცდომამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ნუ შეგვეშინდება ზოგჯერ უფრო ჩაუღრმავდეთ მასალას, მის ფილოსოფიასაც, ამას მიიღებს და მოგიწონებთ მაყურებელი, რომელიც დღეს გაფაციცებით უსმენს და უყურებს თქვენს გალილეო-გალილეის".

იქ, სადაც „კონას" რეჟისორ ო. ანდრონიკაშვილს განზოგადოება უნდა დაეწყო, უკიდურეს კონკრეტულობასა და ყოფითობას მიმართა. გაჰყვა მომგებიან გზას, ბოროტში მხოლოდ ბოროტი ეძება, კეთილში კიდევ კეთილი, გმირთა კოლორიტი მეტყველებით მოახვია თავს მაყურებელს და... სახეები გაარიმიტეგდა.

„სათაგურის" რეჟისორის ბ. ფეფელაშვილის ... ერთ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გაგვახარა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ფარნაოზ ლაბიაშვილმა. ყველაზე დიდი დამსახურება მხატვრისა „სათაგურში“ სწორედ ის არის, რომ ზუსტად იცავს სპექტაკლის საერთო მიზანდასახულებას და ჟანრის თავისებურებას. იგივე შეიძლებოდა ითქვას ქორეოგრაფ გ. ოდიკაძეზე, რომელიც საოცრად სახიერი ცეკვებით საბოლოოდ დაუმკვიდრა „სათაგურს“ რეპერტუარში ყოფნის უფლება.

ორიოდე სიტყვა ირაკლი ბობოხიძისა და იგორ არაყიშვილის ე. წ. მუსიკალურ გაფორმებაზე. პირადად ეს დამონტაჟებული მუსიკალური ლენტები ხელოსნობად მიმაჩნია, ეს დღევანდელი ქართული თეატრის საერთო სენია.

თეატრის რეპერტუარისა და მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხარე კამათი.

ც. ყიფიანი: თეატრისაგან მოითხოვს ორი სხვადასხვა ასაკისათვის შესაფერი რეპერტუარის არჩევას, მრავალფეროვნებას, დრამატურგების მიერ თვით ბავშვების ასახვას. პარალელს ავლებს წარსული წლების რეპერტუარსა და ახლანდელს შორის. აკრიტიკებს მიმდინარე რეპერტუარს, განსაკუთრებით სპექტაკლ „დედინაცვალს“, დადებითად აფასებს ცალკეულ მსახიობთა, რეჟისორთა, მხატვართა შემოქმედებით მიღწევებს.

ვ. კიკნაძე ეხება მოზარდ მაყურებელთა თეატრის საერთო პრობლემებს, დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებს.

ა. აფშილავა: არ ეთანხმება მომხსენებლის ზოგიერთ მოსაზრებას და იცავს გ. ქელბაქიანის „დედინაცვალს“, არ მიაჩნია იგი ხელოვნებით უარსაყოფ ნაწარმოებად.

ნ. ვანგირაძე: ეთანხმება მომხსენებელს, რომ სასურველია თანამედროვე ორიგინალური დრამატურგია მხატვრულად უფრო სრულყოფილი იყოს. ნ. შვანგირაძე არ ეთანხმება ა. აბშილავას და ამბობს: ვინც იცნობს გ. ქელბაქიანის პიესას „დედინაცვალს“, დამეთანხმება, რომ იგი დამაკმაყოფილებელი არ არის. შემდეგ ნ. შვანგირაძე დაწვრილებით ანალიზს უკეთებს თეატრის სპექტაკლებს, აქტიორულ მიღწევებს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან დრამატურგი ს. მთვარაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გვინჩიძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. არეშიძე. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თეატრის გეზი, მისი შემოქმედებითი მიმართულება სწორია.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ს. ჭელიძე, თეატრის მთელი კოლექტივის სახელით მადლობას უხდის თეატრალურ საზოგადოებას, მომხსენებელს, კამათში გამოსულ ორატორებს, იზიარებს ცალკეულ შენიშვნებს, მაგრამ არასწორად მიიჩნია მოხსენებაში დაყენებული ზოგი საკითხი.

დისპუტის მუშაობა შეაჯამა გ. იაკაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტაკლების განხილვა

პირველ აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრში მოაწყო ამავე თეატრის სპექტაკლების (ალ. შირვან-ზადეს „პატიოსნებისათვის", გ. ბერიაშვილის „ტირიფები მტკვრის პირას", მ. ლერმონტოვის „ესპანელები" და ი. სემიონოვის „სამნი სამძებრო განყოფილებიდან") განხილვა.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა: თეატრალურმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის პირველი თვეებიდანვე დაიწყო რესპუბლიკის თეატრების ახალი სპექტაკლების დათვალიერება. ასეთი ღონისძიება უკვე ჩატარდა ფოთში, მახარაძეში, გორში და სხვა ქალაქებში, ხოლო ჩვენ დედაქალაქში მოვასწარით მარჯანიშვილის სახელობის, მუსიკალური კომედიისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლების განხილვა. დღეს ჩვენ ვიხილავთ შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური თეატრის მიმდინარე სეზონის სპექტაკლებს. ამ ღონისძიებას ვატარებთ იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ ჩვენს თეატრებს, რათა მათი რეპერტუარი ყოველ სეზონში თანამედროვეობის ამსახველი სულ ახალ-ახალი პიესებით მდიდრდებოდეს. ამავე მიზანს ისახავს ჩვენი საზოგადოების მორიგი პლენუმი და რეჟისორთა საკავშირო კონფერენცია, რომელიც ამ თვის ბოლოს მოსკოვში უნდა ჩატარდეს.

შემდეგ ამხ. დ. ანთაძე მოხსენებისათვის სომხური თეატრის სპექტაკლების შესახებ სიტყვას აძლევს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, დრამატურგ სურენ აკჩიანს. ილაპარაკა რა ხუთი სპექტაკლის გარშემო, მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლებს „პატიოსნებისათვის" და „ესპანელებს". ს. აკჩიანის მოხსენების შემდეგ სიტყვას იღებს მწერალი ივანე დავითიანი, რომელმაც განაცხადა,—1964-65 წლის სეზონი სომხურმა თეატრმა მეტად ნაყოფიერად დაიწყო. მე ვიტყოდი, რომ ეს გარდატეხა სასარგებლო იყო არა მარტო თეატრისათვის, არამედ ხალხისათვისაც. ჩვენ გვახსოვს, რომ თეატრი სულ ვალებში იყო და მსახიობები ხშირად თავის დროზე ხელფასსაც ვერ ღებულობდნენ. მიმდინარე სეზონში კი თეატრმა არა მარტო მრავალი მაყურებელი მიიზიდა, არამედ გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებს.

რაც შეეხება სპექტაკლებს, მეც ძალიან მომეწონა „ესპანელები". იგი კარგი პიესაა და კარგადაც არის განხორციელებული. სხვათა შორის, ეს პიესა არც თუ ისე ხშირად იდგმება თვით რუსეთშიც. მე მგონია, ჩვენმა თეატრმა კარგი საქმე ვაკეთა იმით, რომ მ. ლერმონტოვის იუბილეესთან დაკავშირებით „ესპანელები". წარმოადგინა.

ი. დავითიანმა აღნიშნა რ. პაპოვიანისა და ემა სტეფანიანის შესანიშნავი თამაში სპექტაკლში „ტირიფები მტკვრის პირას".

ი. დავითიანი შეეხო პრესაში მოთავსებულ რეცენზიებს და აღნიშნა, რომ ხშირად რეცენზიებს შემთხვევითი პირები წერენ, წერენ მშრალად და გადმოგვცემენ მარტოოდენ პიესის შინაარსს, კრინტი არ აარის დაძრული შემსრულებლებზე, ზერელედ და სქემატურად, დაწერილი რეცენზიები არაფერს აძლევს არც მსახიობებს და არც სპექტაკლის ავტორებს.

ი. დავითიანი შენიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ცოტა იდგმება ქართული პიესები სომხურ თეატრში და, პირიქით, სომეხი ავტორების პიესები ქართულ თეატრებში, და თუკი იდგმება, იდგმება უმთავრესად სუსტი პიესები. მე მგონია, ამაში თეატრალური საზოგადოებაც უნდა იყოს დაინტერესებული, რათა სათარგმნელად შერჩეულ იქნეს ისეთი პიესები, რომლებიც საყოველთაო აღიარებას იმსახურებენ.

სპექტაკლ „ესპანელებში" მხატვრული გაფორმება აცხადებს რესპუბლიკის დამსახურებუ-

ლი არტისტი მიხეილ ბერიაშვილი, — დიდად უწყობს ხელს სპექტაკლის საერთო წარმატებას, მას მაყურებელი ნაწარმოების ატმოსფეროში შეყავს. ამ სპექტაკლის მხატვრობა ერთობ რელიეფურია. რაც შეეხება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის, რეჟისორი ა. აბარიანის ნამუშევარს, იგი მხოლოდ ქების ღირსია.

სპექტაკლის დამდგმელმა გვერდი აუარა გაუმართლებელ ეგზოტიკას და ნაწარმოების მოქმედება და მისი ადამიანები გვიჩვენა სრულიად ბუნებრივად და უბრალოდ. ამავე დროს სპექტაკლი მიდის მაღალი ტემპერამენტით.

მაღალ დონეზე დგას მსახიობთა მიერ როლების შესრულება. პირველ რიგში აღსანიშნავია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის რ. პაპოვიანის თამაში ფერნანდოს როლში. პაპოვიანი თავისი მსუბუქი, მოხდენილი და თავისუფალი თამაშით თანდათანობით ხსნის ფერნანდოს სახეს და ამავე დროს ახერხებს სახის თანდათანობით განვითარებასაც. ასევე მაღალ დონეზეა ლ. ფირუმიანის თამაში ემილიას როლში. იგი მეტად ლირიკული და მომხიბვლელია, კარგები არიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჟამკოჩიანი დონა-მარიას როლში, რესპ. დამსახ. არტისტი ა. არშაკუნი-დონა ალვარეცის როლში, რესპ. დამსახ. არტისტი ა. ქაჯვორიანი პატერი სორინის როლში, ს. ბაბლოიანი მოსეს როლში, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ემა სტეფანიანი ნოემის როლში, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. აკოფიანი სარას როლში და სხვა.

მართალია, ბევრი კარგად მოფიქრებული და შესრულებული სცენებია სპექტაკლ „ესპანელებში", მაგრამ მე მაინც ვიტყოდი, რომ საჭიროა უფრო ცოცხლად იყოს გათამაშებული ქალთა ცეკვის სცენები.

—დღევანდელი შეკრება, — აცხადებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ა. აბარიანი, — მისასალმებელია, რადგან თეატრალური საზოგადოების ასეთი ღონისძიება ხელს უწყობს ჩვენი თეატრის შემოქმედებითის მუშაობას, მიიუმეტეს, რომ ამჟამად ჩვენი თეატრი სიძნელეებს განიცდის, რომლის დაძლევაშიც ჩვენ მეტი დახმარება გვჭირდება. როგორც ცნობილია, დღეს-დღეობით თეატრალური ხელოვნების მუშაკთა წინაშე წამოჭრილია ისეთი პრობლემები, როგორიცაა: რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთ დამოკიდებულება, რეჟისორისა და მხატვრის ურთიერთ დამოკიდებულება და სხვა. ეს საკითხები დროულად უნდა მოგვარდეს, რათა უფრო ნაყოფიერი იყოს ჩვენი თეატრების შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენს წინ გამოსული ორატორები შეეხენ თეატრის მუშაობის სხვადასხვა მხარეს — მხატვრულ და მუსიკალურ გაფორმებას, რეჟისორისა და მსახიობის მუშაობას, ილაპარაკეს დრამატურგიასა და რეპერტუარზე, მაგრამ აქ ნაკლები ილაპარაკეს თეატრალურ კრიტიკაზე. მას შეეხო მხოლოდ ივ. დავთიანი. როკა მე ამას ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ნამდვილი პროფესიული თეატრალური კრიტიკა და არა ის, რასაც ზოგჯერ შემთხვეკითი ადამიანები წერენ. მე მინდა თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელთა საყურადღებოდ ვთქვა, რომ საჭიროა და სასარგებლოც თუ ზოგჯერ ჩვენ თეატრსაც მოხედავენ ჩვენი რესპუბლიკის ისეთი გამოჩენილი კრიტიკოსები, როგორიც არიან ბესარიონ ჟღენტი, ეთერი გუგუშვილი, გიორგი ციციშვილი, დიმიტრი ჯანელიძე და სხვა. მე ვფიქრობ, რომ სომხური ენის უცოდინარობა მათ ხელს არ შეუშლის ამ საქმეში.

ა. აბარიანი წინადადებას აყენებს, რომ თეატრალური საზოგადოების ინიციატივით სეზონში ერთხელ თვითეულ თეატრში ეწყობოდეს მეორე რომელიმე თეატრის სპექტაკლების კვირეული-დათვალიერება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები. ასეთი ღონისძიება, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობდა ფართო საზოგადოებას, რომ ყოველმხრივად გაცნობოდა თეატრის შემოქმედებითს მუშაობას, ხოლო, მეორეს მხრივ, სასარგებლო იქნებოდა თვით თეატრისათვის.

თბილისის სომხური თეატრის რეპერტუარის შესახებ ილაპარაკა მწერალმა კ. აზროიანმა. მან აღნიშნა, რომ არ შეიძლება მივიწყებას მიეცეს ქართველ და სომეხ კლასიკოსთა დრამატურგია, რომელიც ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობენ როგორც ქართული, ისე სომხური თეატრის სცენაზე. ასევე ურთიერთ გაცვლა უნდა ხდებოდეს თანამედროვეობის ამსახველი საუკეთესო დრამატული ნაწარმოებებისა, რაც უკანასკნელ წლებში ერთობ შენელდა.

თბილისის სომხურმა თეატრმა, — განაცხადა თეატრის დირექტორმა რ. მერაბოვმა, — უკანასკნელ სეზონში გააუმჯობესა თავის სპექტაკლების ხარისხი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მაყურებელი ადვილად დაუბრუნდა თეატრს.

F 9935

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ეს დაამტკიცა ჩვენმა საგასტროლო მოგზაურობამ ერევანსა და სხვა ქალაქებში. დასასრულ, მერაბოვმა აღნიშნა, რომ თეატრის მთელი კოლექტივი კმაყოფილია ჩვენი დღევანდელი შემოქმედებითი შეხვედრით, მე იმედი მაქვს,—აცხადებს იგი, რომ მომავალშიაც კვლავ არა ერთხელ მეგობრებმა, რათა ერთმანეთს გავუზიარო ჩვენი ბრძოლა ახალ დადგმებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 თებერვალს ლენინის სახ. რაიონის სახალხო თეატრის შენობაში ჩატარდა მუშა-მსახიობის დავით ზაქარიას ძე ჯანჯალაშვილის დაბადების 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ლენინის სახ. რაიონის სახალხო თეატრის დირექტორმა გ. ცქიტაშვილმა.

დავით ჯანჯალაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა დრამატურგმა აკაკი დევიძემ.

—მეტად რთული ცხოვრების გზა განვლო —ამბობს აკ. დევიძე—მუშა-მსახიობმა დ. ჯანჯალაშვილმა. 9 წლიდან, მამით დაობლებული, დღეში 14—15 საათს ფიზიკურ შრომას ეწეოდა, შემდეგ მოჯამაგირის მძიმე ხვედრი ხვდა, საიდანაც დიდის გაჭირვებით დააღწია თავი და ხელი მოჰკიდა სოფელ კავთისხევში სოფლის მეურნეობას.

1921 წლიდან იგი, დედასთან ერთად, თბილისში გადმოდის. 1922 წელს ანდრია ბარსიაგოვის ინიციატივით ლენინის სახ. რაიონში პირველად ჩამოყალიბდა პიონერული ორგანიზაცია, რომელშიაც ჩარიცხულ იქნა ჯანჯალაშვილიც. პიონერთა ორგანიზაციაში დავითმა შეისწავლა წერა-კითხვა და პირველი სცენური ნათლობაც იქ მიიღო, პიესა „პარიზის კომუნაში“ ახალგაზრდა რევოლუციონერის ჟაკის როლის შესრულებით.

1925 წელს იგი მოწაფედ მიიღეს ორთქმავალ-ვაგონ შემკეთებელ ქარხანაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და იქვე დატოვეს სამუშაოდ. პარალელურად სცენაზეც აგრძელებს მუშაობას, იგი წარმატებით ასრულებდა საპასუხისმგებლო როლებს, რითაც რეჟისორების ყურადღება მიიპყრო და 1935 წელს რეჟ. გ. ჯაოშვილმა იგი მსახიობად მოიწვია ხაშურის თეატრში.

პროფესიულ თეატრში გადასვლამ და გამოცდილ მსახიობებთან მუშაობამ ხელი შეუწყო დ. ჯანჯალაშვილის პროფესიულ დოსტატებას.

1937 წ. იგი კვლავ თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს კიროვის სახ. დაზგათმშენებელ ქარხანაში, 1956 წლიდან კი გადადის თავის მშობლიურ ორთქმავალ-ვაგონ შემკეთებელ ქარხანაში, სადაც დღემდე განაგრძობს მუშაობას.

თავის ძირითადი შრომითი საქმიანობის პარალელურად იგი კვლავ განაგრძობს სცენაზე მოღვაწეობას პლეხანოვის სახ. კლუბში.

—მიუხედავად იმისა, ამბობს აკ. დევიძე,— რომ დ. ჯანჯალაშვილს კლასიკური და თეატრალური განათლება არ მიუღია, იგი წარმატებით ასრულებდა საკმაოდ რთულ როლებს, რაც განპირობებული იყო მისი ნიჭით, დიდი შრომისმოყვარეობით, დაუზოგავი ენერგიით და იმ შემოქმედებითი გარემოს გავლენით, სადაც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

დ. ჯანჯალაშვილს 100-მდე როლი აქვს განხორციელებული. მის მიერ განსახიერებული სახეები მრავალფეროვანია, თვითეული სახის განსახიერებისას იგი აღწევს საკმაო გარდასახვას. მისი სცენური ოსტატობის ყველა ელემენტი თავისებურია და დამოუკიდებელი, იგი არავის არ ბაძავს.

მისი შემოქმედებითი მიღწევები მრავალჯერ აღნიშნულა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე.

დ. ჯანჯალაშვილი მიღწეულით არასდროს არ კმაყოფილდება, დღესაც ენერგიულად მუშაობს თავისთავზე, რომ მომავალშიაც უანგაროთ ემსახუროს თავის საყვარელ ხალხს და ქვეყანას.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ: რესპ. სახ. არტისტი ვ. ნინიძე, ხელ. დამსახ. მოღვაწე კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი, პროფსაბჭოს წარმომადგენელი მ. სურგულაძე, აკ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელი მეფარიშვილი, ზ. ფალიაშვილს სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ლიტ. ნაწილის გამგე ნ. მესხი, ნავთლუღის კლუბიდან—ქინქლაძე, კიროვის სახ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები შუთიძე, ხახვიაშვილი, ხუბულური, გ. ადამაშვილი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოღვაწეობა 1965 წლის პირველ კვარტალში

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, იმ ღონისძიებების გარდა, რომლებიც „მოამბის“ 1965 წლის პირველ ნომერშია გაშუქებული, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

27 მარტს, საზოგადოებამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზში, ჩაატარა თეატრის საერთაშორისო დღის-27 მარტის აღსანიშნავი საზეიმო სდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა დოდო ანთაძემ. მოხსენება თემაზე: „თეატრის საერთაშორისო დღის 27 მარტის მნიშვნელობა“ წაიკითხა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე, რესპ. სახალხო არტისტი დ. სლავინი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯანელიძე, ლენინაიონის სახალხო თეატრის რეჟისორი ვ. ვაშაძე, დამსახურებული მასწავლებელი ბ. მჭედლიძე და თეატრმცოდნე ნ. ურუშაძე.

26 ივნვარს თეატრალურმა საზოგადოებამ ფოთის სახელმწიფო თეატრში მოაწყო მაყურებელთა კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა სპექტაკლები: „ნიკო ნიკოლაძე“, „მოკლული მტრედი“ და „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“. კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს რესპ. სახ. არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, თეატრმცოდნეებმა ნ. შვანგირაძემ, ალ. შალუტაშვილმა, ვ. კიკნაძემ და თ. ჯანელიძემ.

კვარტალის განმავლობაში სხვადასხვა თეატრში განხილულ და მიღებული იქნა სპექტაკლები: ი. ვაკელის „საქმენი აჯამეთური“—მახარაძის თეატრში (მონაწილეობდა ხელ. დამსახ. მოღვაწე ო. ალექსიშვილი), მ. ლერმონტოვის „მასკარადი“—თელავის თეატრში (მონაწილეობდა ხელ. დამსახ. მოღვაწე ი. კაკულია), სოხუმის თეატრში—ო. ჩხეიძის „მამაო თევდორე“ (მონაწილეობა მიიღეს დ. ჯანელიძემ, ნ. შვანგირაძემ და ერ. ქარელიშვილმა), ჭიათურის თეატრში—ლ. მილორავას „მრუდე კიბე“—(მონაწილეობა მიიღო ნ. კევლიშვილმა), თელავის თეატრში—ვ. კანდელაკის „სარეველა“ (მონაწილეობა მიიღო თეატრმცოდნე ელ. გელდიაშვილმა), ჭიათურის თეატრში—„ანა ფრანკოს დღიურები“ (მონაწილეობა მიიღო ო. ალექსიშვილმა) და სხვ.

გარდა ამისა, თეატრების კოლექტივებში წაკითხული იქნა მოხსენებები: თელავის თეატრში თემაზე: „27 მარტი—თეატრის საერთაშორისო დღეა“—მომხს. ელ. გელდიაშვილი, ჭიათურის თეატრში იმავე თემაზე მომხს. ნ. კევლიშვილი, საჩხერის კულტურის სახლში, თემაზე: „საბჭოთა კინოსა და თეატრის როლი მასების აღზრდის საქმეში“—მომხს. ხელოვ. დამსახ. მოღვაწე ვ. მურღულია, ყვარლის სახალხო თეატრში—ქართული კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“,—მომხსენებელი თეატრმცოდნე ელ. კვირკველია და სხვ.

КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Международный день театра

27 марта Международный день театра. В этот день театры многих стран подытоживают свои достижения, определяют новые задачи на будущее.

Театральное искусство интернационально по своей природе — достижения одного народа в области искусства театра делаются достоянием других народов. Взаимосвязи и взаимовлияния в области искусства всеобщи. Особенно явной и плодотворной эта связь стала сейчас — Социалистическая революция открыла пути к творческому сближению народов, наполнило искусство гражданским пафосом. Ни одна театральная школа не имеет столько последователей, сколько советская. Советский театр является предметом изучения зарубежного театроведения. Непрерывность поисков, точность цели и неудовлетворенность достигнутым — залог вечного новаторства советского театра.

Советский театр на страже мира, потому главным девизом IV международного дня театра является борьба за упрочение мира и безопасности.

Творческий рост ощущается во всех отраслях грузинского советского театрального искусства. Примером смелого проявления творческой индивидуальности режиссера автор называет «Меч Кахабера» в театре им. Марджанишвили (постановка Г. Лордкипанидзе). Названы актерские удачи. Говорится о работе самодеятельного искусства, а также об уровне современного зрителя. Самой насущной задачей автор статьи считает воплощение современности на сцене.

Пленум Театральных обществ закавказья

11 января 1965 г. в Тбилиси состоялся об'единенный пленум Театральных обществ Закавказья. Пленум со вступительным словом открыл председатель президиума Театрального Общества Грузии Д. Антадзе. С докладом «Современная театральная критика» выступил критик В. Жгенти. Он говорил о специфике театральной критики, об ее назначении, сложностях и ответственности. Докладчик считает, что за последние 10 лет заметно повысился профессиональный уровень грузинской театральной критики, тем не менее отмечает и ее недостатки.

С докладом «Положение театральной критики в Азербайджане» выступила А. Алиева. Она говорила о традициях азербайджанского театроведения, о заметном росте его профессионального уровня за последние 15 лет, о выдающихся трудах азербайджанских театроведов, об активном участии Театрального Общества Азербайджана в творческом росте театроведов. В докладе были отмечены и недостатки азербайджанской театральной критики — частые случаи публикации непрофессиональных, поверхностных рецензий на страницах периодической прессы Азербайджана.

В своем докладе «Армянская театральная критика сегодня» С. Ризаев кратко изложил исторические пути развития те-

атральной критики в Армении, а затем об ее сегодняшнем положении. Говорил о росте театральной критики Армении за последние 10 лет, о насущных проблемах театроведческой науки, о возможностях публикации научных и критических трудов в Армении и за ее пределами.

На пленуме выступил зам. министра культуры Азербайджана Г. Алибекова, академик Г. Ахвледиани, который говорил о проблемах сценической речи. В прениях приняли участие: Н. Урушадзе, Х. Абрамсманян, М. Пясецкий, Д. Джафаров, В. Анджапаридзе, Э. Гугушвили, Г. Лордкипанидзе, Г. Сафаров.

Пленум подытожил Д. Антадзе.

День в Тбилисских театрах

В конце прошлого года секция актерского мастерства и режиссуры, совместно с секцией критики посетили театры Тбилиси, с целью проверки художественного уровня рядового спектакля. Рейд был проведен 25 декабря.

27 декабря состоялось совместное заседание секций. Председатель режиссерской секции С. Челидзе ознакомил присутствующих с целью рейда.

О спектакле театра им. Грибоедова («Лиса и виноград» Фигейредо) докладывали театроведы Э. Гугушвили и Н. Швангирадзе. О спектакле оперного театра («Кармен» Бизе) — музыковед А. Цулукидзе. О спектакле театра им. Руставели («Чинчрака» Г. Нахуцришвили) — критик Г. Цицишвили и режиссер М. Гижимкрели. О спектакле театра им. Марджанишвили («Над пропастью во ржи» Селинджера) театровед Ц. Кипиани. О спектакле армянского театра («Из за чести» Ширван-Заде) — С. Авчян. О спектакле Грузинского ТЮЗ-а («Мачеха» Г. Келбакиани) — режиссер М. Квалиашвили. О спектакле театра Санитарной культуры («Циру») театровед В. Картвелишвили.

Докладчики подробно и обстоятельно говорили о достоинствах и недостатках спектаклей, о значении художественного уровня рядового спектакля.

В прениях приняли участие: Д. Джанелидзе, К. Кукуладзе, В. Таблашвили, Ар. Чимакадзе, Г. Лордкипанидзе, М. Цхомария, Л. Хуцишвили, Т. Тархнишвили и др.

Грузинский театр юного зрителя в текущем сезоне

15 февраля 1965 г. в Доме Работников Искусств Грузии состоялась дискуссия о репертуаре театра юных зрителей. С докладом «Грузинский ТЮЗ в текущем сезоне» выступил театровед А. Трапаидзе. Он обстоятельно говорил о роли театра в вопросе идейно-эстетического воспитания молодежи, в формировании будущего человека. С этой позиции был рассмотрен докладчиком репертуар театра. По ходу доклада А. Трапаидзе подробно остановливался на разборе работы режиссеров, актеров, художников и композиторов. После доклада разгорелся спор. В прениях участвовали: Ц. Кипиани, В. Кикнадзе, А. Абшилава, Н. Швангирадзе, С. Мтварадзе, Ив. Гвинчидзе, В. Арешидзе.

С ответственным словом выступил художественный руководитель ТЮЗ-а С. Челидзе. Подытожил диспут зам. пред. президиума Театрального Общества Г. Якашвили.

Обсуждение спектаклей армянского театра

1 апреля 1965 года в армянском театре им. Шаумяна Театральное Общество Грузии устроило обсуждение спектаклей: «Из-за чести» Ширван-Заде, «Ивы над кукурой» Г. Бериашвили, «Испанцы» Лермонтова и «Трое из сыскного отделения» И. Семенова.

Диспут со вступительным словом от-

крыл председатель президиума Театрального Общества Грузии Д. Антадзе. Он известил аудиторию о том, что Грузинское Театральное Общество уже с начала года приступило к смотру спектаклей театров республики. Обсуждение спектаклей армянского театра — одно из звеньев этого большого мероприятия.

Докладчик С. Авчян говорил об общем творческом положении театра, затем подробно разобрал обсуждаемые спектакли с драматургической, режиссерской, актерской, художественной и даже хореографической точек зрения.

В прениях приняли участие: А. Абарян, К. Азроян, Р. Мерабов.

Творческий вечер Давида Джанджалашвили

8 февраля 1965 г. в помещении Народного театра района им. Ленина состоялся вечер, посвященный 60-летию со дня рождения и 40-летию творческой деятельности актера-рабочего Давида Захаровича Джанджалашвили. Вечер вступительным словом открыл директор народного театра района им. Ленина Г. Цкитишвили. С докладом о жизни и творчестве Д. Джанджалашвили выступил драматург А. Девидзе. Он подробно рассказал об интересной и своеобразной жизни актера-рабочего, его репертуара, творческом облике, который вырисовывается в более чем ста образах, созданных им.

Юбиляра приветствовали: В. Нинидзе, М. Чиринашвили, М. Сургуладзе, Н. Месхи и другие представители рабочих и творческих организаций города.

Деятельность театрального общества Грузии в первом квартале 1965 г.

Кроме уже названных в Вестнике мероприятий, Театральное Общество Грузии провело еще несколько: 27 марта, совместно с Министерством культуры Грузинской ССР в Малом зале театра им. Руставели международный день театра, 26 января в Потийском театре зрительскую конференцию, на которой обсуждались спектакли текущего репертуара. В продолжении квартала были приняты и обсуждены спектакли ряда театров республики. В коллективах театров был прочитан ряд докладов и лекций по насущным вопросам современного театра и кино.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

თეატრის საერთაშორისო დღე 3
ამიერკავკასიის თეატრალური საზოგადოებების პლენუმი თბილისში 6
ერთი დღე თბილისის თეატრებში 10
მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრი მიმდინარე სეზონში 13
თბილისის სომხური თეატრის სპექტაკლების განხილვა 16
დავით ჯანჯალაშვილის შემოქმედებითი სალამო 19
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1965 წლის
პირველ კვარტალში 20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Международный день Театра 3
Пленум Театральных обществ Закавказья 6
День в Тбилисских Театрах 10
Грузинский Театр юного зрителя в текущем сезоне 13
Обсуждение спектаклей Армянского Театра 16
Творческий вечер Давида Джанджалашвили 19
Деятельность Театрального общества Грузии в первом квартале 1965 г. . 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ТОГ

ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1965

№ 1 (30)

ფასი 16 კან.
Цена 16 коп.

გადაეცა წარმოებას 18|V 1965 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25|VI 1965 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1,75

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 1902 УЭ 06709 Тираж 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა